

თავი 18

პროგრამების მომზადება და ბიუჯეტის შედგენა

1. პროგრამირების პროცესი შედგება შემდეგი პროცესებისაგან:

- ა) მიმდინარე პროგრამების გადახედვა;
- ბ) წინადადებების განხილვა ახალ პროგრამებზე;
- გ) ორივე პასუხი მართებულია.

2. ბიუჯეტის ფუნქცია შეიძლება იყოს:

- ა) მიმდინარე საქმიანობის კონტროლი;
- ბ) მენეჯერთა სწავლების საშუალება;
- გ) ორივე მათგანი.

3. საერთო ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილია:

- ა) ოპერატიული ბიუჯეტი;
- ბ) სტრატეგიული ბიუჯეტი;
- გ) ვალდებულებების ბიუჯეტი.

4. დაალაგეთ თანმიმდევრობით საბიუჯეტო გრაფიკის ეტაპები (მიუთითეთ ნომრები):

- ძირითადი საგემო მაჩვენებლების განსაზღვრა;
- კომპონენტთა კოორდინაცია და კორექტირება;
- გაყიდვების ბიუჯეტის შედგენა;
- საბოლოო დამტკიცება.

5. მთავარი ბიუჯეტი შედგება:

- ა) საბიუჯეტო მოგება ზარალის ანგარიშისგან;
- ბ) რეალიზაციის ბიუჯეტიდან;
- გ) წარმოების ბიუჯეტიდან.

6. წარმოების ბიუჯეტი შედგება:

- ა) კაპიტალური დანახარჯების ბიუჯეტისგან;
- ბ) სამუშაო ძალის ბიუჯეტისგან;
- გ) ფულადი სახსრების ბიუჯეტისგან.

7. წარმოების ბიუჯეტის შედგენისას, გვემიური წარმოება ტოლია:

- ა) პროგნოზირებულ რეალიზაციას + მზა პროდუქციის საწყისი მარაგი – მზა პროდუქციის საბოლოო მარაგი;
- ბ) პროგნოზირებულ რეალიზაციას + მზა პროდუქციის საბოლოო მარაგი – მზა პროდუქციის საწყისი მარაგი;
- გ) არც ერთი ტოლობა არ არის მართებული.

8. არსებობს მასალების ორი ტიპის ბიუჯეტი:

- ა) მასალების მოხმარების და შესყიდვის ბიუჯეტი;
- ბ) მასალების მოხმარების და რეალიზაციის ბიუჯეტი;
- გ) მასალების შესყიდვისა და რეალიზაციის ბიუჯეტი.

9. ფულადი სახსრების ბიუჯეტის მომზადების მთავარი მიზანია:

- ა) საბიუჯეტო ბალანსისთვის ნაღდი ფულის ბიუჯეტის მომზადება;
- ბ) ფულის დეფიციტისა და სიჭარბის გამორკვევა;
- გ) ორივე მათგანი.

10. წარმოების ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილია:

- ა) სამუშაო ძალის ბიუჯეტი;
- ბ) საქარხნო ზედნაღების ხარჯების ბიუჯეტი;
- გ) ორივე მათგანი.

ამოცანა №1

კომპანია უშვებს ორ პროდუქტს – **A**-სა და **B**-ს. პროდუქტები იყიდება პროპორციით 1:1 თანაფარდობით. დაგეგმილი სარეალიზაციო ფასი შეადგენს შესაბამისად 100 ლარსა და 200 ლარს ერთეულზე, შესაბამისად. კომპანიას მომდევნო წელს ესაჭიროება 900000ლ ამონაგების მიღება.

მოგეთხოვებათ:

მომზადოთ მომდევნო წლის რეალიზაციის ბიუჯეტი.

ამოცანა №2

შპს “**X**” აწარმოებს სამ პროდუქტს. ქვემოთ მოცემულია მონაცემები თითოეული პროდუქტის მოსალოდნელი რეალიზაციის შესახებ.

	პროდუქტი 1	პროდუქტი 2	პროდუქტი 3
რეალიზაცია ერთეულებში	3000	4500	3000
მოსალოდნელია, რომ საწყისი მარაგი იქნება:			
პროდუქტი 1	500 ერთეული		
პროდუქტი 2	700 ერთეული		
პროდუქტი 3	500 ერთეული		

ხელმძღვანელობას სურს მარაგის დონის შემცირება და საბოლოო მარაგის დონე შემდეგნაირად არის დაგეგმილი:

პროდუქტი 1	200 ერთეული
პროდუქტი 2	300 ერთეული
პროდუქტი 3	300 ერთეული

მოგეთხოვებათ:

გაითვალთ თითოეული პროდუქტის წარმოებული ერთეულების გეგმიური დონე.

ამოცანა №3

შპს “X” აწარმოებს სამ პროდუქტს. ქვემოთ მოცემულია მონაცემები თითოეული პროდუქტის მოსალოდნელი წარმოების ღონის შესახებ.

	პროდუქტი 1	პროდუქტი 2	პროდუქტი 3
გეგმური წარმოება ერთეულებში	2700	4100	2800

ამ პროდუქტების საწარმოებლად გამოიყენება სამი ტიპის მასალა, სხვადასხვა რაოდენობით:

	პროდუქტი 1	პროდუქტი 2	პროდუქტი 3
მასალა M 1	2 კგ	3 კგ	4 კგ
მასალა M 2	3 კგ	3 კგ	4 კგ
მასალა M 3	6 კგ	2 კგ	4 კგ

მოსალოდნელია, რომ მასალების საწყისი მარაგი იქნება:

მასალა M 1	4300 კგ
მასალა M 2	3700 კგ
მასალა M 3	4400 კგ

ხელმძღვანელობას სურს მასალების მარაგის ღონის შემცირება. ქვემოთ ნაჩვენებია მარაგის მოსალოდნელი ღონეები:

მასალა M 1	2200 კგ
მასალა M 2	1300 კგ
მასალა M 3	2000 კგ

მოსალოდნელია, რომ მასალების ფასი 10%-ით მეტი იქნება მიმდინარე წელთან შედარებით, ხოლო მიმდინარე ფასები ასეთია: 1.10 ლ/კგ - M 1 მასალა, 3.00 ლ/კგ - M 2 მასალა და 2.50 ლ/კგ - M 3 მასალა.

მოგეთხოვებათ:

გაიანგარიშოთ თითოეული მასალის მიხედვით: გამოყენების რაოდენობა, შესყიდვის რაოდენობა და შესყიდვის ღირებულება.

ამოცანა №4

შპს “X” აწარმოებს სამ პროდუქტს. ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია თითოეული პროდუქტის მოსალოდნელი წარმოების დონეების შესახებ.

	პროდუქტი 1	პროდუქტი 2	პროდუქტი 3
გეგმური წარმოება ერთეულებში	2700	4100	2800

ამ სამი პროდუქტის საწარმოებლად გამოიყენება ორი ტიპის სამუშაო ძალა. ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია, ერთეულის საწარმოებლად საჭირო ნორმატიული დროისა და მომდევნო წელს მოსალოდნელი ხელფასების განაკვეთების შესახებ:

	პროდუქტი 1	პროდუქტი 2	პროდუქტი 3
საათები პროდუქტის ერთეულზე:			
კვალიფიციური შრომა	3	1	3
ნახევრად კვალიფიციური შრომა	4	4	2

კვალიფიციურ სამუშაო ძალას გადაუხდიან საათში 9 ლარს, ხოლო ნახევრად კვალიფიციურს საათში 6 ლარს.

მოგეთხოვებათ:

გაიანგარიშოთ კვალიფიციური და ნახევრად კვალიფიციური შრომის საჭირო საათების რაოდენობა და შრომის ანაზღაურების ღირებულება.

ამოცანა №5

შპს “X” აწარმოებს სამ პროდუქტს. ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია თითოეული პროდუქტის მოსალოდნელი წარმოების ღირებულების შესახებ.

	პროდუქტი 1	პროდუქტი 2	პროდუქტი 3
გეგმური წარმოება ერთეულებში	2700	4100	2800

ამ სამი პროდუქტის საწარმოებლად გამოიყენება ორი ტიპის სამუშაო ძალა. ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია, ერთეულის საწარმოებლად საჭირო ნორმატიული ღირებულება და მომდევნო წელს მოსალოდნელი ხელფასების განაკვეთების შესახებ:

	პროდუქტი 1	პროდუქტი 2	პროდუქტი 3
საათები პროდუქტის ერთეულზე:			
კვალიფიციური შრომა	3	1	3
ნახევრად კვალიფიციური შრომა	4	4	2

საწარმოო ზედნაღები ხარჯები ერთ კაც/სთ-ზე შემდეგი სახისაა:

ცვლადი	3.50 ლ/ერთ კაცსთ-ზე
მუდმივი	5.50 ლ/ერთ კაცსთ-ზე

მოგეთხოვებათ:

გამოთვალეთ ზედნაღები ხარჯების ბიუჯეტი.

ამოცანა №6

წარმოების მმართველი პასუხისმგებელია ერთი სახის პროდუქტზე და ამჟამად მუშაობს მონაცემების წარდგენაზე, რომელიც უნდა შევიდეს 20X2 წლის ბიუჯეტში. მმართველს გააჩნია გეგმიური მაჩვენებლები ამ პროდუქტზე გაყიდვების მოცულობის შესახებ, ასევე მოგების ღონისა და ფულადი სახსრების ნაშთის შესახებ.

ქვემოთ მოყვანილია შეთანხმებული ბიუჯეტური მაჩვენებლები პროდუქტის გაყიდვების შესახებ 20X1 წლის დეკემბრიდან 20X2 წლის მაისამდე პერიოდისათვის.

	<i>დეკემბერი</i>	<i>იანვარი</i>	<i>თებერვალი</i>	<i>მარტი</i>	<i>აპრილი</i>	<i>მაისი</i>
ერთეულები:	14000	16000	22000	17000	20000	24000

კომპანიის პოლიტიკით ყოველი თვის ბოლოს მზა პროდუქციის საბოლოო მარაგი უნდა შეადგენდეს მომდევნო თვის პროგნოზირებადი გაყიდვების 25 %-ს, ხოლო ნედლეულის მარაგი საკმარისი უნდა იყოს მომდევნო თვის პროდუქციის 10 %-ის საწარმოებლად. ამჟამად მარაგის დონეები შეესაბამება ამ პოლიტიკას. ნედლეულის ერთეული შედგენს ერთეულ მზა პროდუქციას, დანაკარგი არა გვაქვს.

ნედლეულის შესყიდვაზე გადახდა ხორცილდება შესყიდვის თვის მომდევნო თვისათვის. ყველა სხვა გასავალი ანაზღაურდება წარმოშობისთანავე. კომპანია გაყიდვებს აწარმოებს კრედიტში და მოთხოვნების ფულადი სახით მიღებას ვარაუდობს 50% -ის ოდენობით იმავე თვეში, ხოლო დანარჩენი 50%-ის მიღება მოსალოდნელია გაყიდვების განხორციელებიდან მომდევნო თვეში.

კომპანია გამოიყენებს თვითღირებულების დანახარჯთა სრული განაწილებით კალკულაციის სისტემას, რომელიც დაფუძნებულია თვის განაკვეთზე, ანუ პროდუქტის თვითღირებულებაში პირდაპირი დანახარჯების გარდა ჩართული იქნება მუდმივი და ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები. შთანთქმის განაკვეთისთვის (პროცესისთვის) გამოიყენება თვის განმავლობაში დაგეგმილი წარმოებისა და დანახარჯების მაჩვენებლები.

ეს თვითღირებულება შემდეგ გამოიყენება მარაგის სიდიდის შესაფასებლად. საწყისი მარაგი ფასდება წინა თვეში ერთეულზე გათვლილი თვითღირებულებით. 20X2 წლის 1 იანვრისათვის მზა პროდუქციის მარაგი სავარაუდოდ შეფასებული უნდა იყოს ერთეული 40 ლარად.

გაყიდვები ხორციელდება ერთეული 58 ლარად.

დანახარჯთა შეფასება რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს პროდუქტის საწარმოო ბიუჯეტის შედგენისას შემდეგი სახისაა:

საწარმოო დანახარჯები:

მასალა	10.00 ლ. წარმოებულ ერთეულზე
ცვლადი ზედნაღები დანახარჯი და შრომა	16.00 ლ. წარმოებულ ერთეულზე
მუდმივი ზედნაღები დანახარჯი (თვეში 54.000ლ. ამორტიზაციის ჩათვლით)	210000 ლ. თვეში

დანახარჯი გაყიდვებზე:

ცვლადი	7.00 ლ. გაყიდულ ერთეულზე
მუდმივი	164000 ლ. თვეში

დავალება :

- (ა) გაიანგარიშეთ ყოველთვიური დაგეგმილი წარმოება და მასალის შესყიდვა 20X2 წლის იანვრიდან მარტამდე პერიოდში.
- (ბ) მოამზადეთ მოგება-ზარალის ბიუჯეტი, ასევე ფულადი ნაკადების გაანგარიშება 20X2 წლის იანვრისათვის.